პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 285 (13101) | შაბათი, 5 დეკემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

მხატვარი გ. იაშვილი.

5 დეკემბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა

•

საბჭოთა კონსტიტუცია ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ანიჭებს შრომის, განათლების, დასვენების, მატერიალური უზრუნველყოფის დიად უფლებებს

•

საბჭოთა დემოკრატიის დიდი ძალა

ქსაურსანტები ერმიტაჟში ღიმილით თვალიერებენ ერთ ისტორიულ ექსპონატს. იგი იმპერატორთა მოოქროვილი ტახტია ზურგზე ორთავიანი არწივის გამოსახულებით. მაგრამ მათგან ძალიან ცოტამ იცის ერთი ეპიზოდი, რომელიც 47 წლის წინათ მოხდა:

ზამთრის სასახლის იერიში დამთავრდა. ძირს დაეშვა ჩაგვრა და მონობა. ხოლო მაღლა ავიდა თავისუფლება და ბედნიერება. ახალი ყოფის დამკვიდრებისათვის გმირმა მებრძოლებმა მეფის ტახტზე მჯდომი ნახეს მუშა ნოითელგვარდიელი ვლადიმერ იაკუმის-ძე კარასევი. ამხანაგებმა „მეფის მემკვიდრეს“ სიცილით უთხრეს: „იჯექი, იჯექი, ვალოდია! ახლა შენ, მუშა, მეფე ხარ!“

დიან, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებით იწყება საბჭოთა დემოკრატიის, ბურჟუაზიულთან შედარებით მილიონჯერ უფრო დემოკრატიული სახელმწიფოს გაფურჩქვნა და დამკვიდრება.

მისი გერბია არა ორთავიანი არწივი, არა მახვილი, არა თვალისასახვევი დაფნის რტო, არამედ მზის სხივებში გახვეული დედამიწის სფეროზე ურთიერთგადაჯაჭვობილი ურო და ნამგალი — მშრომელი ხალხის კავშირის სიმბოლო. იგი გარშემოვლებულია თავთავებით, აქვს წარწერა მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

დღეს 5 დეკემბერია — საბჭოთა კონსტიტუციის დღე. კომუნიზმის მშენებელი სვებედნიერი ხალხი, რომელიც აღსავსეა ისტორიული ოპტიმიზმით, ზეიმობს ახალი ტიპის დემოკრატიის ტრიუმფს. დიდი მწვერვალები, რომლებიც ყოველი მხრიდან ჩანს და რომლებზეც ამჟამად ჩვენი ქვეყანა ავიდა ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებაში, ახალი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში, ყველაზე თვალსაჩინო, ყველაზე მკაფიო, ყველაზე უცილობელი დადასტურებაა იმისა, თუ რა ძალუძს თავისუფალ ადამიანს, რა სასწაულების მოხდენა შეუძლია ხალხს, როცა იგი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია, როცა მას მოპოვებული აქვს ყველაზე მთავარი — თავისუფლება!

ჩვენი ხალხი, რომელმაც ორმოცდაშვიდი წლის წინათ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინა უდიდესი რევოლუცია, შექმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — საბჭოთა სახელმწიფო, ახალი ტიპის დემოკრატია — მშრომელთათვის, ააშენეს სოციალიზმი, ახლა წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. გზა კომუნიზმის უმაღლესი ფაზისაკენ, ამ გზის ძირითადი ეტაპები ნათელია; კონკრეტული ამოცანები, რომლებიც უნდა გადაეჭრათ, ჩვენთვის გარკვეულია. ისინი ლენინური შუქით მოსილია სკკპ პროგრამაში.

საბჭოთა დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარია ხალხთა მეგობრობა. თავისუფალ ხალხთა დიადი მეგობრობა, რომელიც ვ. ი. ლენინმა გვიანდერძა, ადუღებებს საბჭოთა საზოგადოებას, ამრავლებს ყველა საბჭოთა ადამიანის ძალასა და ენერგიას ახალი საზოგადოების მშენებლობაში. ეს ახალი ძალით გამოვლინდა შუა აზიის მოძმე რესპუბლიკების — უზბეკეთის, თურქმენეთის და ტაჯიკეთის ორმოცი წლისთავის ზეიმის დღეებში, რაც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა.

საბჭოთა დემოკრატიის ცხოველმყოფელობა, მისი ძალა, ხალხთა ძმური ოჯახში თვითეული ერის მატერიალური და სულიერი ძალების დიადი აყვავება მაგალითზე. ხატოვნად რომ ვთქვათ: დღეს მოყვარეს გულს უხარებს და ოჯახ-ოჯახში ნამდვილი ზეიმია. ეს ზეიმი, ეს ზეიმი ერთ-ერთ ეპიზოდად ეტყობა ისტორიას, ეტყობა ეპოქას, ეტყობა ადამიანთა ბედნიერებას.

საბჭოთა დემოკრატიის დიდი ძალა

დედამიწაზე ყველა პატიოსანი ადამიანის თვალში საბჭოთა კავშირი ხალხთა ნამდვილი ძალაუფლების და თანასწორუფლებიანობის ქვეყანაა, ქვეყანა, სადაც დამკვიდრდა და ნაყოფიერად ვითარდება დემოკრატია. იგი ამრავლებს ჩვენი საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ძალებს, მის სამსახურში აყენებს ისტორიის დიდი შემოქმედის — ხალხის კოლექტიურ გამოცდილებასა და კოლექტიურ გონებას, უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნების, მასების ინიციატივისა და აქტივობის გაფურჩქნას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ფხიზლად დგანან ადამიანის იმ მოკალაქეობრივ უფლებათა და პოლიტიკურ თავისუფლებათა სადარაჯოზე, რომლებსაც ყველა მშრომელისათვის უზრუნველყოფს ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება, განუხრელად მოითხოვენ სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განხორციელებას.

დღეს სოციალისტური დემოკრატიის ზეიმია. ამ ზეიმს იმედის თვალით შემოჰყურებენ ბურჟუაზიული სამყაროს ჩაგრული ხალხები. კაპიტალისტური ქვეყნების მესვეურები სულ უფრო ხშირად კვეცავენ იმ უბადრუკ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც დეკლარილებული იყო მშრომელებისათვის ბურჟუაზიული კონსტიტუციებით. პოლიციის ხელკეტი და ტყვია, პროგრესული ორგანიზაციების აშკარა დევნა, მშვიდობის „მომხრეთათვის ანგარიშის გასწორება, ადამიანის ღირსებისა და პატივის გათელვა — ასეთია მათი ნაქები „დემოკრატია“.

საბჭოთა კავშირი ხალხთა ძმური ნებაყოფლობითობის, ერთა ნებაყოფლობითობის, ერთა ნებაყოფლობითობის, ერთა

საგოგადოების საკეთილდღეოდ შრომა თვითეული ადამიანის წმიდა მოვალეობაა

სკკპ პროგრამიდან.

ცეცხლის პირისპირ

თენდება... ცაზე ოდნავ თუ გაარჩევ მოცამცმე ვარსკვლავებს.

ჯერ კიდევ სძინავს ქალაქს. ჰაერში ალმოდებული ბუღი ავარდნილა... მხოლოდ აქ, მეტალურგიულ ქარხანაში, ერთი წუთითაც არ წყდება ხმაური, ადამიანთა ომახიანი შეძახილები. დღისითაც და ღამითაც ცეცხლი გუგუნებს ღუმელებში, ნაპერწკლებს ისვრის გავარვარებული ლითონი, აბობოქრებული ფოლადის ლავა ისხმება ყალიბებში.

...მარტენის ღუმელის სათვალთვალო პუნქტთან დგას სპეციტანსაცმელიანი ახალგაზრდა. მისი მოუსვენრობა ძალაუნებურად იპყრობს ყურადღებას. აი გაიკეთა სათვალე და შეიხედა საკაზმე ფულდში.

— ანალიზები არ მოუტანიათ, მაგრამ მაინც შეიძლება გაშვება, — უთხრა იქვე მდგომს და ის იყო სათანადო განკარგულება უნდა გაეცა, რომ ტელეფონის წკრიალი გაისმა.

ფოლადის შემადგენლობა სავსებით შეესაბამება დაწესებულ ნორმებს, იყო დასტური ლაბორატორიიდან.

გრიგოლ ჩაჩანიძემ საათს დახედა. ჯერ კიდევ 20 წუთი დრო იყო. ესეც ასე. ამ დროს ღუმელის შემდგომი განწყობისათვის გამოვიყენებ, ახლა კი...

— გაგუშვათ!

ხელისშემწყობები თვალისდასაბამხამებაში უკვე გასაშვებ ხვრელთან არიან, წუთი, და ღუმელიდან ნიაღვარივით წამოვიდა ადუღებული ფოლადი.

და განა მარტო კაზმის გაწყობისას და ფოლადის დნობისას ახერხებს ბრიგადა დროის ეკონომიას? ჯარასავით ტრიალებენ ბიჭები. ბრიგადირთან ერთად საქმის ერთგულნი არიან კ. კევლიშვილი, ტ. ნოზაძე და ჯ. გვიმრაძე. ტყვილად ხომ არ უწოდებენ მათ ხელისშემწყობთ. წამი რა არის, იმასაც კი არ კარგავენ უქმად.

თანდათანობით ივსება ციცხვები. ღარებიც დაცარიელდა ციცხოვანი ლავებისაგან. გრიგოლი კვლავ საათს დასცქერის.

— როგორ მიდის საქმე? — ეკითხება კ. კევლიშვილი.

— 16 წუთია ეკონომია!

— შევუდგეთ ღუმელის ხელმეორედ გაწყობას, — იძლევა განკარგულებას კ. ჩაჩანიძე. სამუშაო ოპერაცია გრაფიკის სრული დაცვით მიმდინარეობს, გაწყობის შემდეგ ბრიგადის წევრები იწყებენ ღუმელში კაზმის ჩასხმას. ეს ერთ-ერთი სერიოზული ოპერაციაა მეფოლადეთა საქმიანობაში. მაგრამ, როგორც იტყვიან, საქმე ოსტატს ემორჩილება.

— დაუმატეთ მარგანეცი! ჩაურიეთ ფეროსილიციუმი, — იძლევა მითითებებს ფოლადის ოსტატი. ბიჭებიც შეუფერხებლად ასრულებენ ბრიგადირის ნებას. დნობა ჩქაროსნული მეთოდით წარმოებს...

1951 წელს, როცა მეტალურგიული ტექნიკუმის კურსდამთავრებულ გრიგოლ ჩაჩანიძეს საგზური დონეცკის მეტალურგიულ ქარხანაში გამოუწერეს, სრულიადაც არ გაკვირვებია.

— წადალ, რატომაც არა! უკრაინელ მეტალურგებთან პრაქტიკას შევიძენ...

გუშინდელივით ახსოვს გრიგოლს მარტენის საამქროში პირველი მისვლა. თვალი ვერ მოაშორა ღუმელის სარკმელს, საიდანაც თვალწარმტაცად მოჩანდა თხევადი ფოლადის დუღილი.

ცნობილი უკრაინელი მეფოლადის მიხეილ ლოგოსტაევის ომახიანმა ხმამ გაამხნევა ქართველი ვაჟკაცი, მისმა მამაშვილურმა დარიგებამ გული დაუშშვიდა, იმედი მისცა.

გადიოდა დღეები. გრიგოლი თანდათანობით ეუფლებოდა მეფოლადის პროფესიას.

ნამდვილი მეფოლადე რომ გახდე, ეუნაზოდა ოსტატი, ჯერ მეფოლადის ხელშემწყობად უნდა იმუშაო, შემდეგ ოსტატის თანაშემწედო. გრიგოლის ცხოვრების გზაც სწორედ ასე წარიმართა. მ. ლოგოსტაევის ნდობა და იმედი გაამართლა ქართველმა ვაჟკაცმა და მალე დამოუკიდებლად იწყო ღუმელის მომსახურება.

ბოლოს მოხდა ყველაზე სასიხარულო რამ. მეფოლადე გრიგოლ ჩაჩანიძე რუსთაველის მეტალურგიულ ქარხანაში მიიწვიეს სამუშაოდ.

მაშინ მეზუთე ღუმელი გამართულად ვერ მუშაობდა. გრიგოლმა არ ითაკილა ჩამორჩენილ ღუმელზე წასულიყო სამუშაოდ. მთავარი იყო ბრიგადაში შრომის მოწესრიგება. სწორედ აქედან დაიწყო გრიგოლმაც. მისი გონივრული და სასარგებლო სიტყვები ჭკუაში უჯდებოდა ბრიგადის ყველა წევრს, საქმეც კარგად მიდიოდა.

და მაინც, მდგომარეობის გამოსწორება ტექნიკური რეჟიმის განმტკიცების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. გრიგოლმა კარგად შეისწავლა ღუმელის თავისებურება. მრავალი ექსპერიმენტი გააკეთა, რომ ამა თუ იმ პროცესის დროს გაეგო, სად შეიძლებოდა დროის მეტი ეკონომია გაეწია. საბოლოოდ მაინც დაადგინა, რომ ჩქაროსნული დნობის განსახორციელებლად დროის ეკონომიის მიღწევა შეიძლება როგორც ღუმელის გაწყობისას, ისე კაზმის ჩატვირთვისას, აგრეთვე დნობის პროცესშიც.

ორი წლის თავზე ყველაფერი წესრიგში იყო, და მარტენის საამქროში მეზუთე ღუმელი მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

ის იყო საერთო საქმე აეწყო, რომ მემვიდე ღუმელმა იწყო ჩამორჩენა. საამქროს ხელმძღვანელებმა პირველი ღონისძიება იმით განახორციელეს, რომ აქაც გრიგოლ ჩაჩანიძე გადაიყვანეს საქმის წამოსაწევად.

გრიგოლმა თავისი ცოდნა და ენერგია არ დაიშურა. მას მხარში ამოუდგნენ ბრიგადის წევრებიც. შრომაში დამეგობრებულმა მეფოლადეებმა მალე იზეიმეს ჯილდო მოპოვებული გამარჯვება. გ. ჩაჩანიძის ბრიგადას კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი მიეკუთვნა. მეფოლადე ჩაჩანიძის შრომითი საქმიანობა იმითაც იქნა დაფასებული, რომ იგი არჩეულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად.

...ეს ამ დღეებში მოხდა. გრიგოლ ჩაჩანიძემ და ბრიგადის წევრებმა ჩქაროსნული ნოხებიდან რომ დაასრულეს, იქვე ჩამოსხდნენ და პატარა არითმეტიკული განაგარიშება გააკეთეს:

დნობა განხორციელებულია 6 საათსა და 45 წუთში, გეგმა კი 8 საათს ითვალისწინებდა.

— ბარემ თერთმეტი თვის გეგმის შესრულებაც გადაგეანგარიშებინა, — თქვა ვიღაცამ და გრიგოლმაც ბოლანოტის მეორე ფურცელზე ასეთი მოკლე არითმეტიკული გამოანგარიშების შემდეგ ჩაწერა:

— თერთმეტ თვიში გეგმის გადამეტებით გამოდნობილია 600 ტონა ფოლადი...

იზოლდა ბერაძე.

• • •

სურათზე. გ. ჩაჩანიძე.

ეს ბედნიერი მუშა ახალგაზრდები სარგებლობენ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით — სწავლის უფლებით. სურათზე: თბილისის პლასტმასის ქარხნის მუშების ერთი ჯგუფი, რომლებიც დაუსწრებლად უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ (მარჯვნიდან მარცხნივ): საწნები სალეკრან შემდეგ თავი განყოფილების მიმღები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი რ. ზუბაშვილი; მხეხავი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი რ. სევიდოვი; დისპეტჩერი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი ნ. ჯანგულაშვილი, მხეხავები: პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი ი. ბიბილეიშვილი და IV კურსის სტუდენტი ნ. სულაქველიძე; ელექტრომონტიორი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი ჯ. სიგუა; მხეხავები: პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი ზ. ოციანაცი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი ე. სომხიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩვენი ქმობა

ჩვენ დავიბადეთ
ერთ დიდ ოჯახში,
გვზრდიდა ერთი მზის
ძალა და სითბო.
როცა მოღიმარს
გხედავ ქუჩაში,
ძმასავით გხვდები,
მგონია თითქოს.

ჩვენ უხვად ვაფრქვევთ
ერთმანეთს ღიმილს,
ოცნებით მაღალ
ლაჟვარდებს ვუვლით.
როცა შენ გული
დაგიწყებს ტკივილს,
გჯეროდეს, ამ დროს
მეც მტკივა გული.

შემისისხლხორცდა
რუსი ძმა ქართველს,
ორთავემ ძმობა
შევფიცეთ უნგრელს,
კრემლის ვარსკვლავი
სინათლეს აფრქვევს
ჩვენს მეგობრობას,
ესოდენ ურღვევს.

უ. მენაფირე,
რუსთაველი მელითონე.

გაანახლება დიდ გზაზე

ზამთარი ძალაში შევიდა. კარგა ხანია ჩამოთოვა ბახმაროს მთის კალთები. თოვლით იმოსება მაღალმთიანი სოფლების ბაღ-პლანტაციები. შავი ზღვიდან მონაბერი მსუსხავი ქარი ძვალსა და რბილში ატანს. კოლმეურნეობის თავმჯდომარის საშუალო კაბინეტში სოფლის აქტივი მსჯელობს ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების, ბაღების საზამთრო სამუშაოთა გადაუდებელ საკითხებზე.

— ჩვენი არტელის სიმდიდრეს ჩაისა და ციტრუსოვანთა მეურნეობა შეადგენს, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე **დავით გოგუაძე**, თუ კარგად დავამუშავებთ პლანტაციებს, მაღალ მოსავალსაც მივიღებთ. მინერალური და ორგანული სასუქები დროზე უნდა გავიტანოთ პლანტაციებში.

— ჩვენი ბრიგადის სასაწყობო ფარდულებში წვიმა ჩამოდის. აქ კი რამდენიმე ათეული ტონა მინერალური სასუქი უნდა მოვთავსოთ. როგორ მოვიქცეთ? — ასეთი საკითხი დააყენა ბრიგადირმა **ნ. დარჩიამ.**

თავმჯდომარემ მაგიდის ბლოკნოტში ჩაინიშნა ყოველივე ის, რაც უახლოეს დღეებში უნდა გაკეთდეს.

თათბირზე ბრიგადირებმა, მერგოლურებმა, ხელმძღვანელმა ამხანაგებმა ბევრ საყურადღებო საკითხზე იმსჯელეს და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს, რომ რაიონში პირველებმა დაამთავრონ ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების საზამთრო სამუშაოები.

პირველ იანვრამდე დამთავრდება 100 ჰექტარი ჩაის პლანტაციის გადაბარვა ფოსფორიანი სასუქების შეტანით. მაღებულია ზომები ციტრუსების სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.

ოც წელზე მეტია საკოლმეურნეო წარმოებაში ხელმძღვანელი სამუშაოზეა დ. გოგუაძე. იგი პირადი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მთავარია ცოცხალი, ოპერატიული მოქმედება დასახული ღონისძიებების დროულად განხორციელებისათვის.

საკოლმეურნეო წარმოების კარგი ორგანიზატორი დ. გოგუაძე 1962 წელს სოფელ **განახლების** კოლმეურნეობა „უკრაინის“ მშრომელებმა თავიანთი არტელის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

თავმჯდომარე უწინარეს ყოვლისა გულდასმით გაეცნო სოფელს, ყველა კუნჭულს. საკუთარი თვალით ნახა, რომ 20 ჰექტარამდე სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაცია მოუვლელობით იყო დაკნინებული. ისიც გამოარკვა, რომ კოლმეურნეობაში 50 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია მკრეფავებზე არ იყო მიმაგრებული.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მოაწყო გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის ბიუროს გაფართოებული სხდომა, სადაც დასახეს ღონისძიებანი გაუპიროვნების მავნე პრაქტიკის აღსაკვეთად. დაწესდა კონტროლი ჩაის პლანტაციებში სიმეჩხრის აღმოსაფხვრელად. მეოთხე ბრიგადაში ბარდ-ეკლებისაგან იხსნეს 2 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია. დაიწყო ჩაის თვითეული ბუჩქის მოვლის სამუშაოები, პლანტაციები საგულდაგულოდ დამუშავდა.

თავმჯდომარეს არც ის გამორჩა მხედველობიდან, რომ არტელის წინსვლას ხელს უშლიდა შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე, ბევრი კოლმეურნე გაუნრბოდა საზოგადოებრივ შრომას და საკუთარ კარმიდამოში ფუსფუსებდა. ამ საკითხებზე გაიმართა ფართო ახსნა-განმარტებითი საუბრები ბრიგადებში, რგოლებში, ცალკეულ კოლმეურნეებთან. საზოგადოებრივი მეურნეობა მთავარი და გადამწყვეტია კოლმეურნეობაში. აუცილებელია პირად ინტერესებზე მაღლა იდგეს საზოგადოებრივი ინტერესები. ამის შესახებ ამსჯელა არტელის წევრთა საერთო კრებამ.

გონივრულად მიუდგნენ საერთო კრების დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებას, და ზარმაცმა კოლმეურნეებმაც კი პირი იბრუნეს კოლმეურნეობისაკენ. განმტკიცდა შრომის დისციპლინა.

შედეგი? ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 5 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“, წინა წლათან შედარებით მოსავალი ჰექტარზე გაზარდეს 1.150 კილოგრამით.

ნათქვამია, ერთი მერცხლის ბიჭეიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. წინათ მთელ არტელში ერთი შუქურა — **ზინა ბაჯელიძე** ჰყავდათ. პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად ბრიგადებში მოეწყო ჩაის უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების განზოგადება, თვითეულ მეჩაიესთან მიჰყავდათ ჩაის კრეფის ოსტატები — სოციალისტური შრომის გმირი ზ. ბაჯელიძე და მისი კოლეგები. ისინი პრაქტიკულად უხსნიდნენ მეჩაიეებს ჩაის კრეფის მეთოდებს, ორივე ხელით კრეფის ხერხებს. გაწეულ შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. ახლა კოლმეურნეობაში 100-ზე მეტი შუქურაა, თვითეული სეზონში 5-10 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფს.

კოლმეურნეობაში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. ყველა კოლმეურნე ჩაბმულია ამ შეჯიბრებაში. კოლმეურნეობის კანტორის წინ თვალსაჩინო ადგილას გაკეთებულია დაფა, სადაც ცალკეული ბრიგადების მიხედვით დახატულია მოდელები — „თვითმფრინავი“, „ვოლგა“, „პობედა“, „მოსკვიჩი“, „ველოსიპედი“, „ცხენი“ და „კუ“, ყოველდღიური მაჩვენებლების მიხედვით მოწინავე ბრიგადირი ზის „თვითმფრინავზე“, ხოლო ყველაზე ჩამორჩენილი — „კუ“-ზე. ყველა ცდილობს ამ დაფაზე საპატიო ადგილი დაიკავოს.

ამ სოფელს საერთო წარმატებაში ხელს უწყობს მომმე უკრაინის სერგენჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოსთან“ გაჩაღებული ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება, ხშირად ეწყობა დელეგაციების გაცვლა, წერილების მიწერ-მოწერა, გამოცდილების გაზიარება.

რამდენიმე წლის წინათ კოლმეურნეობაში **ბრიგადები სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ.** ამან დიდი შრომითი დაინტერესება გამოიწვია. შრომის ანაზღაურების ამ მოწინავე მეთოდმა განაპირობა ის, რომ გასული წელი შესანიშნავი შედეგებით დაამთავრეს. სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ეს კოლმეურნეობა **6.000** მანეთით დაჯილდოვა.

კოლმეურნეობის გამგეობის დახმარებით ბევრმა კოლმეურნემ ააგო ორსართულიანი ოდა-სახლი. სოფელში ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, რომელსაც კოტა ოდა-სახლი არ ჰქონდეს. სოფელმა სახე იცვალა, ღონიერი გახდა.

სოფელი ელექტროფიცირებულია, აქვს რადიო, ბევრ ოჯახს ავტომატური ტელეფონიც უდგას. სოფლის ცენტრს ამშვენებს კოლმეურნეობის ორსართულიანი კანტორა, აქვთ კაპიტალური გარაჟი, სამშობიარო სახლი, საექიმო უბანი, აფთიაქი, ააგეს ასფალტის ქარხანა...

მიმდინარე სამეურნეო წელს კარგი შედეგებით ამთავრებენ განახლებელი კოლმეურნეები. მიუხედავად ზაფხულში დამდგარი ცუდი ამინდისა, მეჩაიეებმა **830** ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი ჩააბარეს წარმოთას და გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, სიმინდის მთლიანი ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე **32** ცენტნერი მარცვალი მიიღეს.

წინათ ჩამორჩენილი განახლების კოლმეურნეობა „უკრაინა“ ახლა მახარძის რაიონში ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა. ამიტომ უყვართ სოფლის მშრომელებს თავიანთი წინამძღოლი დ. გოგუაძე.

ბ. ჩხაიძე,

• • •

სურათზე: დ. გოგუაძე.

ამაღლებული ღირსება

ცის კაბადონს თვალს გახელასაც არ აცლის, განთიადს ფეზზე ამდგარი ხვდება, ჩქარი ნაბიჯით შუკას ჩაივლის და ფერმისაკენ მიმავალ გზას მიჰყვება ათას ფიქრთან ერთად.

შრომის სიყვარული უტეხი ძლიერებით ჩქეფს სოფიო დელიბაშვილის არსებაში. შრომა უყვარდათ მამისეულ ოჯახშიც. მაგრამ რა ფასი ჰქონდა მაშინ ამ სიყვარულს. ილარიონის ექვს შვილს რჩენა უნდოდა და ეს იყო ქედმოხრილი შრომისადმი წყაღებული პირველი და უკანასკნელი მოთხოვნა. ახალი ყოფის დამკვიდრებასთან ერთად იზრდებოდნენ ბავშვები, ბავშვებთან ერთად იზრდებოდა საზოგადოებრივი შრომის როლი და დანიშნულება.

მაშინ პატარა სოფიოს კარგად არ ესმოდა ხალხის ხელისუფლების მიერ აღიარებული და საბჭოთა კონსტიტუციით განმტკიცებული პატიოსანი შრომის დამკვიდრების საკითხი. მაგრამ შრომა რომ თვითეული ადამიანის მოვალეობისა და ღირსების საქმედ იქცა, ეს მან უპირველესად საკუთარი ცხოვრების მაგალითზე გაიგო და დაინახა.

სხვა დროს ვის შეეძლო ეფიქრა, რომ ნორიოელი გლეხის ქალს ყოველდღიური, კეთილსინდისიერი შრომა ასე დაფასდებოდა, ამაღლებოდა და რაიონის ფარგლებს შორს გასცდებოდა.

ახლა იგი სამაგალითო და სახელგანთქმული მწველავია. 16 ძროხას უვლის, საკუთარი შვილებივით ეფოლიავება. შეაღამებს თუ არა ფერმის კარს, იმთავრებ გაეშურება, სათითაოდ ხელს შეახებს, გაასუფთავებს, მიეალერსებს. დიდხანს, დიდხანს ისმის კასრში რძის სასიამოვნო ჩხრიალი. შემდეგ ყველს ულუფას მიაწვდის, შუადღის ჯერსაც დროზე გაუნაწილებს, საღამოზე ისევ მოწველის და ბრიგადის წევრებმა ჩქარისნული ნოხებიდან რომ დასრულეს, იქვე ჩამოსხდნენ და პატარა არითმეტიკული განაგარიშება გააკეთეს:

დნობა განხორციელებულია 6 საათსა და 45 წუთში, გეგმა კი 8 საათს ითვალისწინებდა.

— ბარემ თერთმეტი თვის გეგმის შესრულებაც გადაგეანგარიშებინა, — თქვა ვიღაცამ და გრიგოლმაც ბოლანოტის მეორე ფურცელზე ასეთი მოკლე არითმეტიკული გამოანგარიშების შემდეგ ჩაწერა:

— თერთმეტ თვიში გეგმის გადამეტებით გამოდნობილია 600 ტონა ფოლადი...

იზოლდა ბერაძე.

• • •

სურათზე. ბ. ჩაჩანიძე.

მეგობრობის საღამო

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლიეთოფონის ქარხნის კოლექტივში ოცამდე ეროვნების წარმომადგენელია. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს ინტერნაციონალური აღზრდის საინტერესო, ქმედითი ფორმებს.

ამ დღეებში აქ მოეწყო მეგობრობის საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პარტბიუროს მდივანმა ა.ა. ერგემლიძემ. მოხსენებით თემაზე: „სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა“ გამოვიდა პროფკავშირის საქართნო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გოგოლაშვილი.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში ქარხნის კოლექტივის მიერ შეტანილი წვლილის შესახებ ილაპარაკეს ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ს. სადღნიშვილმა, ლაქსაღებავების საამქროს უფროსმა ა. ბოსნიაკოვმა, სატრანსპორტო საამქროს უფროსმა ს. მოსინიანმა...

გმირეგს არ ივიწყებენ!..

ვიდრე ამბავს შევუდგებოდე, მინდა მკითხველს გავაცნო შინაარსი ერთი წერილისა, რომელიც ჩემმა ფრონტელმა ამხანაგმა წამაკითხა და რომელმაც გამიცოცხლა მისი სახელოვანი საბრძოლო წარსულის ფურცლები.

აი ეს წერილიც.

„საბჭოთა კავშირის გმირს მაიორ გიორგი დავითის-ძე შენგელიას, ქალაქ თბილისში, პავლოვის ქ. № 35 ბ.

ჩვენ დაგვჭირდა დიდი დროს დახარჯვა, რათა მოგვენახეთ თქვენ. ჩვენო მებრძოლო მეგობარო და ამხანაგო! თქვენი მისამართის მიკვლევა შევძელით დივიზიის შტაბის ყოფილი უფროსის პოლკოვნიკ სვირიდოვის მეშვეობით, რომელიც ცხოვრობს მოლდავეთის სსრ დედაქალაქ კიშინიოვში, სერგეი ლაზოს ქ. № 27, ბინა 28-ე.

რით დაიმსახურა გიორგი შენგელიამ, რომ ქვემოთ აღწერილი ამბავიდან ოგერ ოცი წლის შემდეგაც იგონებენ მებრძოლი ამხანაგები, მისი შშობლიური სამხედრო ნაწილი?

...გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს მელიტოპოლი ციხე-სიმაგრედ აქცევნოდა. ჩემთვის ახლაც გაურკვეველია, თუ რატომ უწოდებდნენ ისინი თავდაცვის ამ თავიანთ ზოლს „ციხეფერ ხაზს“, მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ უბანს ხერსონისაკენ მიმავალ გზაზე. მტერი არ ფიქრობდა არც ერთი დასახელებული პუნქტის და მით უფრო ქალაქ მელიტოპოლის დატოვებას. თვითეული მტკაცელი მიწისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები იმართებოდა. მაშინდელი მე-5 დამკვრელი არმიის 295-ე წითელდროშოვან სუვოროვის ორდენოსან დივიზიას ნაბრძანები ჰქონდა რადაც უნდა დასჯდომოდა გაერღვია მელიტოპოლის სიმაგრეები და შემდეგ მტრისათვის გადაეკეტა ყველა უკანდასახევი გზა. ჩვენი ნაწილების წინსვლას შეაფერხებდა გერმანელთა ახალ ზღუდეებზე გამაგრება, მით უფრო, რომ ჩვენმა დაზვერვამ ცნობა მოგვიტანა — გერმანელებს სიღრმეშიც აქვთ თავდაცვის ეშელონირებული სანგრები.

მელიტოპოლის სიმაგრეები რომ გაარღვიეს და ქალაქში შეიჭრნენ, ჩვენს ნაწილებს მოუხდათ უკუქცეული მტრის დევნა და მისი გზადაგზა მოხსნა.

...ერთ უკუნეთ ღამეს პოლკის მეთაურმა მოახსენა დივიზიის მეთაურს, უკანდახეულ მტერს კვალდაკვალ მიხდევს მაიორ შენგელიას ბატალიონი. იგი ისე სწრაფად გაჭრილა წინ მოწინავე ასეულებით, რომ გასძნელებია პოლკთან კავშირის დამყარება. ეს მით უფრო ძნელდებოდა, რომ წინწაწევა მხოლოდ სასტიკი და ულმობელი ბრძოლებით ხდებოდა. რაციით კავშირის დამყარებისათვის ერთი წუთი დრო არა რჩებოდა.

მაიორი შენგელია მუდამ ასეულების საბრძოლო განლაგებაში იმყოფებოდა. როდესაც მას მიუთითებდნენ, შტაბთან უნდა იყოო, იგი უპასუხებდა: განა უმჯობესი არ არის ასეულებს პირადად ვუთვალთვალო, ვიდრე მათ მდგომარეობაში სხვისი მოხსენებებით ვერკვეოდეო.

გამთენიისას მაიორი შენგელია ახერხებს სარდლობას რაციით გადასცეს ავისი ადგილსამყოფელის კოორდინატები და აცნობებს, რომ უპირავს ირგვლივ თავდაცვითი პოზიცია და ითხოვს მხარდაჭერას. ირკვევა, რომ მან შეძლო გამოენახა მტრის განლაგებაში ღია შუალედი და მასში მთლიანად გაეყვანა ბატალიონი. ამრიგად მტრის ზურგში მოქცეულმა შენგელიას ბატალიონმა დაიკავა სიმაგრეები — ხანგრძლივი საცეცხლე წერტილები, სანგრები, და ჩვენი დივიზიის ძირითადი ნაწილების შეტევისაგან უკანდახეულ მტერს დაუხვდა მისსავე სიმაგრეებში. დივიზიამ სწრაფი იერიში მიიტანა მტერზე და შენგელიას ბატალიონი შეუერთდა ძირითად ნაწილებს. მაიორ შენგელიას ბატალიონი ოთხი საათის განმავლობაში ეწეოდა თავგანწირულ ბრძოლას. ამ ბრძოლებში ქართველი მეთაური დაიჭრა, მაგრამ ჭრილობის მოშუშებამდე გამოეწერა სამედიცინო-სანიტარული ბატალიონიდან, სადაც მეურნალობდა, და მოაშურა წინა ხაზს. გული არ უდგებოდა — დიდი მზადება იყო დნეპრის გადასალახავად და ქალაქ ხერსონის გასათავისუფლებლად.

დივიზიის სარდლობა სიხარულით შეხვდა მაიორ შენგელიას დაბრუნებას. მას ჩააბარეს თავისივე ბატალიონი. 101-ე პოლკს, რომლის შემადგენლობაშიც შენგელიას ბატალიონი შედიოდა, უნდა გადაელახა დნეპრი, ელო პოტომკინის კუნძული, სადაც განლაგებული იყო მოწინააღმდეგის გაძლიერებული დაცვა, გადამსხდარიყო პიატიხატკის დასახლებაში და ჩავსადგურებულ მტერზე შეტევა განეკითარებინა. კერძოდ მაიორ შენგელიას თავისი ბატალიონი უნდა გადაესახა კუნძულის მარჯვენა ნაპირზე. გაბედულმა მეთაურმა უფრო მიზანშეწონილად ცნო ბატალიონის არა კუნძულზე, არამედ პირდაპირ პიატიხატკის დასახლებაში გადასხდომა. ცხადია, ბრძანების შეცვლისათვის პასუხისმგებელია მეთაური და, ცხადია, სასტიკ პასუხსაც აგებდა წარუმატებლობის შემთხვევაში, მაგრამ გამჭრიახი ოფიცრის გადაწყვეტილება სწორი შეიქნა — ქალაქ ხერსონისათვის გამართულ ბრძოლებში პირველ დასანტად სწორედ შენგელიას ბატალიონი მოგვევლინა. ამ სასტიკსა და შეუპოვარ, მწვავე ბრძოლებში გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს ქართველმა ოფიცრებმა მაიორმა გიორგი შენგელიამ და ლეიტენანტმა გრიგოლ ბახტაძემ. მათი სიმამაცე და გამჭრიახობა ელვის სისწრაფით მოედო დივიზიას და შემდეგ მთელ არმიას. გერმანელ ფაშისტ დაპურობთაგან ქალაქ ხერსონის განთავისუფლებაში მიღწეული საბრძოლო წარმატებებისათვის დივიზია ლენინის ორდენით დაჯილდოდა და მას ამიერიდან „ხერსონის“ სახელი ეწოდა. ბრძოლებში ყველაზე უფრო გამორჩენილთ: დივიზიის მეთაურს გენერალ ალექსანდრე დოროფეევს, ბატალიონის მეთაურს მაიორ გიორგი შენგელიას და ასეულის მეთაურს ლეიტენანტ გრიგოლ ბახტაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

მაიორ შენგელიას ჯიუტს ეძახდნენ ამ სიტყვის ყველაზე კეთილი გაგებით ფრონტულ ვითარებაში. მაგონდება ერთი ასეთი ეპიზოდი: ხერსონის აღების შემდეგ დივიზიამ ბრძოლა განაგრძო უკრაინის მეორე ხაოლქო ცენტრის — ქალაქ ნიკოლაევსკის განთავისუფლებისათვის. ამ ბრძოლებში მაიორი შენგელია მეორედ დაიჭრა და სასწრაფოდ გაიგზავნა დივიზიის სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში, რომლის მეთაური იყო ამ სტრიქონების ავტორი. სწორედ მესამე დღეს დაიწყო შეტევები. საარტილერიო მომზადების გუგუნი რომ გაიგონა, დაჭრილი შენგელია ვერფრით ვერ დავამგრეთ ლოგინში, იგი უკვარჯნის მოშველიებით გაეშურა დივიზიის სათვალთვალო პუნქტისაკენ. ვერც დივიზიის მეთაურის ბრძანებამ გასჭრა და შენგელიამ მტკიცედ მოითხოვა ბრძოლაში ჩაბმა. ასეთი გამჭრიახი მეთაური, მართალია, ფრიად საჭირო იყო ამ დაძაბული ვითარებისას. მეზღვაურთა დესანტი სისხლით იცლებოდა, გვმართებდა მტრის თავდაცვის ხაზის სასწრაფოდ გარღვევა. შენგელიამ პოლკის მეთაურს პოლკოვნიკ ლუბკოს გამოართვა სამოქმედო რუკა, გადახედა თავისი ბატალიონის საბრძოლო განლაგებას და უსიტყვოდ დაიძრა უკვარჯნით წინა ხაზისაკენ. იგი მალე თვალს მიეფარა.

სულ მალე რაციით გაისმა მაიორ შენგელიას ხმა, იგი პოლკის მეთაურს მოახსენებდა:

— მავთულხლართები გაწმენდილია, „სკოლა“ გაიარა და ახლა ერთ-ერთი მოწინავე მწვანე ოქროა ფოთოლს ამოგვიყრია რაიონში.

და როცა სოფლის მეურნეობის აქტივის შეკრებაზე, გარდაბნის პარტიული კომიტეტის პლენუმზე შეაქებენ, მისი თავდადებული შრომისა და სახოგადოებრივი საქმიანობის ნაყოფს გამოაჩენენ, სიწითლის ალმური გადაჰკრავს. შემდეგ შეკრებილთ გადახედავს და გაიფიქრებს: პარტიის რიგებში მიმღეს, პარტიული კომიტეტისა და პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრად ამირჩიეს, მაშასადამე, ჩემი იმედი აქვთ, უნდა გავამართლო.

იცის სოფიო დელიბაშვილმა, კარგად იცის, რომ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია ქალის ღირსება ასე ამაღლებული და განდიდებული. კარგად ესმის, რა მძიმეა ქალის ბედი კაპიტალის ქვეყნებში, სადაც მამაკაცისა და ქალის შრომა გათანაბრებული არ არის, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპი ან არ მოქმედებს. ან ფორმალურად არსებობს, ქალთა უმრავლესობა მოკლებულია პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებებს. მხოლოდ ოქტომბერმა მოუტანა საბჭოთა ქალებს მამაკაცთან თანასწორობა, რაც შემდეგ თავისუფლების დიდი ქარტიით იქნა განმტკიცებული და გარანტირებული.

უსაზღვრო პატივი, ზრუნვა და უყურადღება სიამაყის გრძნობით ავსებს სოფიოს გულს, ძალასა და ენერგიას მატებს სერთო-სახალხო ბრძოლაში თავისი მოკრძალებული წვლილის შესატანად.

თინა ზარგინავა.

სურათზე: ს. დელიბაშვილი.

მარმარილო სადახლოდან

მარნეული. (საკ. კორ.). მოსკოვში, კიევში, ლენინგრადში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში ბევრი შენობა მოპირკეთებულია კრიალა, თეთრი მარმარილოთი. მეიძლება ზოგიერთმა ჩვენგანმა არც კი იცის, რომ ეს მოიპოვება მარნეულის რაიონში, სადახლოში.

მაღალ შრომითს წარმატებებს აღწევენ მარმარილოს მოპოვების ოსტატები. წელს მათ მშენებლობებს გეგმის გადამეტებით მიაწოდეს 5 ათას ტონაზე მეტი მარმარილო და თერთმეტ

დელეგაციათა მეთაურების შეხვედრა

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIX სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გუშინ მეგობრული შეხვედრა გამართა იმ სოციალისტური ქვეყნების დელეგაციების მეთაურებთან, რომლებიც სესიის მუშაობაში მონაწილეობენ. შეხვედრაზე იყვნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ბაშევი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. პეტერი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. დუგერსურენი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. მენესკუ, კუბის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ფ. ალვარეს ტაბიო, ჩეხოსლოვაკიის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. გაეკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ვინევიჩი.

შეხვედრამ გულითად, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

ორდასმა მიიღო საბჭოთა დელეგაცია

მეხიკო, 4 დეკემბერი. (საკდესი). მექსიკის ახალმა პრეზიდენტმა დიას ორდასმა მიიღო საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ი. ვ. პეიოვს მეთაურობით. დელეგაცია აქ ჩამოვიდა დიას ორდასის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავების ცერემონიასთან დაკავშირებით. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა პრეზიდენტს გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიკოიანის მისალმება.

პრეზიდენტმა ორდასმა გულითადი მადლობა გადაიხადა მისალმებისათვის.

ლ. ჯონსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 4 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი გვატყობინებს:

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გუშინ ვაშინგტონში ჟორჟტაუნის უნივერსიტეტში სიტყვა წარმოთქვა საგარეო პოლიტიკაზე. ეს სიტყვა უმთავრესად მიეძღვნა შეერთებული შტატების ურთიერთობას დასავლეთ ევროპასთან და ატლანტიკური კავშირის პრობლემებს.

ჯონსონმა განაცხადა თავის დასავლეთევროპელ მოკავშირეთა საყურადღებოდ, რომლებიც სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას იჩენენ და არ ურიგდებიან ამერიკის ბატონობას ატლანტიკურ კავშირში, თუ რა საშიშია ის ძველი მეტოქეობის აღდგენა, რომელიც ასე ხშირად უთრიდა ძირს დასავლეთის საზოგადოების სტრუქტურას. მან მოუწოდა გაითვალისწინონ „დასავლეთის თავდაცვის“, ვაჭრობის, „განვითარებადი ქვეყნების თავისუფლების დაცვისა და ზრდის“ საერთო ინტერესები.

ჯონსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მზად არიან მოკავშირეებთან ერთად გაანხილონ ახალი იდეები და წინადადებანი, ეძებონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ურთიერთობის ახლანდელი კრიზისის დაძლევის „უკეთესი და უადვილესი გზები“.

ჯონსონმა სცადა საქმე ისე დაესახა, თითქოს ჩრდილოატლანტიკური ბლოკის შიგნით უთანხმოებანი არც ისე დიდი იყოს. იგი ამტკიცებდა, ახლანდელი გახეთქილება ნატოში კრიზისი კი არ არის, მხოლოდ „ცვლილებათა პროცესიაო“.

პრეზიდენტმა ქება-დიდება შეასხა ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის გეგმებს.

„გამოსავალი უნდა ვიპოვოთ“, —თქვა მან, და შეერთებული შტატები ასეთი გამოსავლის ძიებას განაგრძობენო.

შემდეგ ჯონსონი შეეხო გერმანიის პრობლემას და ფაქტიურად კვლავ დაუჭირა მხარი დასავლეთ გერმანიის პრეტენზიებს.

ამასთანავე პრეზიდენტმა ჯონსონმა თქვა, რომ უკანასკნელ ოთხ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა ომის საფრთხის შენელებისათვის.

საერთო პოლიტიკური დისკუსია დაიწყო

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები გ. შაინი და ს. ლოსევი იუწყებიან.

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-19 სესიის დილის სხდომაზე დაიწყო საერთო-პოლიტიკური დისკუსია. პირველი გამოვიდა ბრაზილიის წარმომადგენელი ვასკო ლეტაო და კუნია. მან ხაზგასმით აღნიშნა: ბრაზილია დაინტერესებულია იმით, რომ შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნეს მშვიდობა, მიღწეულ იქნეს კონტროლდაქვემდებარებული განიარაღება და განვითარდეს მსოფლიო ვაჭრობა. ამასთან დაკავშირებით მან მოუწოდა სესიის მონაწილეებს მიაღწიონ იმას, რომ განხორციელდეს ქენეკის ვაჭრობისა და განვითარების საკითხთა კონფერენციის გადაწყვეტილებანი და არ დარჩეს მხოლოდ კეთილ სურვილებად განვითარებადი ქვეყნებისათვის, თქვა ბრაზილიის წარმომადგენელმა. ვაჭრობაში ხელსაყრელი პირობების პრობლემას ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მშვიდობის შენარჩუნებას. ჩვენ გვსურს აგრეთვე, აღნიშნა მან, რომ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელება უზრუნველყოფილ იქნეს კოლონიალიზმის ნაშთების სრული მოსპობის შედეგად. ვასკო ლეტაო და კუნიამ შემდეგ განაცხადა, რომ ამ პრობლემების გადაჭრაში დიდნშვნელოვანი როლი ეკუთვნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ამიტომ იგი ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ. ამასთან მან ქება-დიდება შეასხა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებულ ოპერაციებს კონგოსა და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, რაც განხორციელდა ისე, რომ გვერდი აუარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და რამაც გამოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მდგომარეობის გამწვავება.

გოლდუოტერელები არ ყრიან იარაღს

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკდესი). გოლდუოტერელები ემზადებიან იმისათვის, რომ ბრძოლა გაუმართონ „ზომიერ“ რესპუბლიკელებს პარტიის ხელმძღვანელობისათვის. თავდაპირველად, როცა გოლდუოტერმა დიდი დამარცხება განიცადა პრეზიდენტის არჩევნებში, კაცს ეგონებოდა, რომ ზომიერები შედარებით ადვილად დაატოვებინებენ ულტრამემარჯვენეებს საკომანდო პოსტებს პარტიის აპარატში. რადგანაც თვით გოლდუოტერმა არჩევნებში მარცხის შემდეგ დაკარგა ყოველგვარი ოფიციალური მდგომარეობა პარტიაში (თუმცა მთლიანად არ დაუკარგავს გარკვეული გავლენიანი წრეების მხარდაჭერა), ზომიერთა და ულტრამემარჯვენეთა მთავარი ბრძოლა გაჩაღდა არიზონელი სენატორის მიმდევრის რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის დინ ბერჩის გარშემო.

მთელმა რიგმა თვალსაჩინო რესპუბლიკელმა მოღვაწეებმა — გუბერნატორებმა, სენატორებმა და კონგრესმენებმა — მოითხოვეს ბერჩის გადაყენება. მაგრამ, როგორც გასული რამდენიმე კვირის ამბები მოწმობენ, ულტრამემარჯვენეები არ აპირებენ უბრძოლველად დაყარონ იარაღი. ქალაქ ფენიქსში (არიზონა) თავის ვილაში დასვენების შემდეგ გუშინ ვაშინგტონში ჩამოსული გოლდუოტერი ეთათბირა ბერჩს. შეხვედრის შემდეგ გოლდუოტერმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ზომიერი რესპუბლიკელები „ვერ შეძლებენ ბერჩის განდევნას, რადგან „არა აქვთ ხმების საკმაო რაოდენობა“ პარტიის ეროვნულ კომიტეტში. „ყველას უნდა ახსოვდეს, — დასძინა მუქარით გოლდუოტერმა, — რომ მე ხმა მომცა 27 მილიონმა ამერიკელმა.

ხვალ ქალაქ დენვერში (კოლორადოს შტატი) გაიხსნება რესპუბლიკელ გუბერნატორთა ასოციაციის კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ გოლდუოტერის ისეთი მეტოქეები, როგორიც არიან ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი როკფელერი, მიჩიგანის შტატის გუბერნატორი რომნი, პენსილვანიის შტატის გუბერნატორი სკრენტონი.

პირველად... სუდანში

სუდანელმა ქალმა, პირველად სუდანის ისტორიაში, მიიღო უფლება იყოს ამომრჩეველი და არჩეული. სუდანში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება 1965 წლის მარტში.



ისინი 17 იყვნენ...

„მისისიპის შტატში მცხოვრებ ზანგს საარჩევნო ყუთთან მისვლის უფლება ძალიან ძვირი უჯდებაო“ — ამან შეიძლება მისი სიცოცხლეც კი შეიწიროს“. ასე იწყება ჯონ ჰერსის მოთხრობა, რომელიც გამოქვეყნებულია ამერიკის ბურჟუაზიული ყოველკვირეული ჟურნალის „სატერდეი ივნინგ პოსტის“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში, მოთხრობა ზანგთა უუფლებო მდგომარეობაზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში, ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ მათ აბუჩად აგდებაზე.

ავტორი წინასწარ აცხადებს, რომ მოთხრობის გმირების დასაცავად დეტალებსაგან მან ბევრი გვარი და გეოგრაფიული სახელწოდება შეეცვალა, მაგრამ აღწერილი ამბები მართლა მოხდა. შემოკლებით ვაქვეყნებთ ჰერსის მოთხრობას.

◇ ◇

ᲐᲠᲘᲚᲘᲡ დილით ჩვიდმეტმა ზანგმა გადაკვეთა მოედანი მისისიპის შტატის ქალაქ ატენსის სასამართლოს შენობის წინ. მათს სიარულში მტკიცე გადაწყვეტილება იგრძნობოდა. ჯგუფი მიუახლოვდა მუქი წითელი აგურით ნაგები, კუთხეებში თავწვეტა კოშკებიანი და მოოქროვილ გუმბათიანი მასიური შენობის ჩრდილოეთ შესასვლელს. საათი, რომელსაც ოთხსავე მხარეს ჰქონდა ციფერბლატი, ათის ნახევარს უჩვენებდა. ესენი იყვნენ ფერმერები — ნუნდეის მეზობლად მცხოვრები ცამეტი კაცი და ოთხი ქალი, რომლებიც ბამბისა და სოიის მოყვანას მისდევდნენ.

დანარჩენებზე რამდენადმე წინ მიაბიჯებდნენ რენდოუმან ტორტი, რომელიც ამ კუთხის ზანგებს შორის ცნობილი იყო როგორც თავისი აზრების თავისუფლად გამომთქმელი, ან, როგორც გაგულისებით ამბობდნენ მასზე ადგილობრივი ობივატელები, ყველაზე „თავხედი შავკანიანი“; ღირსი მამა ო. ო. ბიორინგი — ფრთხილი, წელში გამართული; შემდეგ სიტყვაძოერწყინე ელბეტ პერისოტი, რომელიც ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობ ეროვნულ ასოციაციას ეკუთვნის; და დათვის მსგავსი ჯეიმს დრეიკი, ნუნდეის სასოფლო სკოლის მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი. რუნდეის სკოლა იმ დაბის მეზობლად მდებარეობს, სადაც ეს ჩვიდმეტი კაცი ცხოვრობდა.

მათთან ერთად იყო აგრეთვე ვარსელ პლისი, 44 წლის ფერმერი, ჭმუხი გულჩათხრობილი კაცი. მას ოდნავ უკან გადაეწია თავი და ისე მიდიოდა. თვალის კაკლები ლიოსის მუდმივი მტვრისა და კაშკაშა მზისაგან გაყვითლებოდა. პლისი არ იყო მათ შორის, ვინც წინ მიაბიჯებდა, მაგრამ როცა ჯგუფი ბატონის ბილიკით შენობას მიუახლოვდა, მან შეამჩნია, რომ მათ რიცხვში იმყოფებოდა. ნაბიჯი შეანელა. პლისმა იცოდა, რა შედეგები ემუქრებოდა მას და მის მეგობრებს. ისინი საფრთხეში აგდებდნენ თავიანთ სიცოცხლეს. ისინი „ფერადკანიანები“ იყვნენ და უნდოდათ ხმის მიცემის უფლება მიეღოთ მთელი სამხრეთის ერთ-ერთ ყველაზე „ცხელ“ კუთხეში — მისისიპის შტატის იტაბალის საგრაფოში.

იტაბალის საგრაფოში ზანგები რიცხვით მეტი არიან, ვიდრე თეთრკანიანები — 19.000 და 8.200. მთელი დროის მანძილზე, მას შემდეგ, რაც 1890 წელს მიღებულ იქნა მისისიპის კონსტიტუცია, მხოლოდ 26 ზანგმა შეძლო შეეტანა თავისი სახელი ხმის მომცემთა სიებში მუქი წითელი აგურით ნაგებ სასამართლოს სწორედ ამ შენობაში; თეთრკანიანი ამომრჩეველები კი დღეისათვის რეგისტრირებულია 4.500. თეთრკანიანებს სურთ იტაბალის საგრაფოში შეინარჩუნონ არსებული წესი, ზანგებს კი სურთ გატარდნენ რეგისტრაციაში კენჭისსაყრელად.

ᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ შეიანელა ნაბიჯი, და არცთუ უსაფუძვლოდ: მათ წინ საფეხურზე იდგა პისტოლეტითა და პოლიციური ჩხერეტით შეიარაღებული შერიფი გერალსონ რ. ლი, რომელიც საგრაფოში კანონის განსახიერებას წარმოადგენს.

პლისს მოესმა, მის წინ მყოფმა ერთერთმა ზანგმა როგორ თქვა:

— წინ წავიდეთ, ბიჭებო.

— აბა, დადექით მანდ! — მოესმა პლისს შერიფის შეძახილი. — სადღა წინ უნდა წასვიდეთ, ეშმაკმა დალახვროს. რა გინდათ?

ახლა ალაპარაკდა რენდოუმან ტორტი, რომელსაც შერიფი იცნობდა:

— ბატონო ლი, ჩვენ მხოლოდ რეგისტრაციაში გასატარებლად მოვედით.

— რეგისტრაციაში გასატარებლად? რისთვის, ტორტ?

— რეგისტრაციაში გასატარებლად, რომ შეგვეძლოს ხმა მივცეთ.

— ვის გინდათ ხმა მისცეთ?

— ჩვენ შეგვეძლო თქვენთვის მოგვეცა ხმები, ბატონო ლი, თუ თქვენ იყრით კენჭს.

— ხმის მოცემა მე არა მჭირდება. მე უკვე არჩეული ვარ, — უპასუხა შერიფმა იმ ადამიანის ღიმილით, რომელიც მუდამ თავისთვის იტოვებს უკანასკნელ სიტყვას.

— კეთილი, ტორტ, — თქვა შემდეგ მან, თან აგრძნობინა, ხუმრობა უადგილოაო. — ახლა თქვენ ყველანი დაიშალეთ, წადით სახლის სამხრეთი მხარისაკენ და აი იმ ჩრდილიანი ხის ქვეშ დადექით. მთელ ჯგუფად არ წახვიდეთ, ორ-ორი წადით.

ᲞᲚᲘᲡᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲚᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘᲡᲘᲞᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲘ ᲖᲐᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲧᲣᲗᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲕᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲯᲔᲠᲘᲐ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲯᲝᲜ ᲰᲔᲠᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ.

ᲛᲘᲡᲘᲡᲘᲞᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲐᲛᲘᲠᲘᲙᲘᲡ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲜᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲡᲐᲢᲔᲠᲓᲔᲘ ᲘᲕᲜᲘᲜᲒ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲜᲝᲛᲠᲨᲘ, ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲖᲐᲜᲒᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲓ�გᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ, ᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ. ᲠᲣᲜᲓᲔᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲑᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲐᲓ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲡ ᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ.

ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲐᲒᲠᲘᲤᲠᲘᲚᲘ ᲠᲘᲜᲓᲔᲚᲝᲔᲗ ᲛᲔᲤᲔᲠᲛᲔᲠᲘ, ᲩᲛᲣᲮᲘ ᲒᲣᲚᲩᲐᲮᲗᲠᲝᲑᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲘᲓᲮᲮᲐᲚᲘ ᲘᲓᲒᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ. ᲠᲣᲜᲓᲔᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲑᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲐᲓ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲡ ᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲡᲔᲪ ᲛᲝᲘᲭᲪᲜᲔᲑᲓᲐ, ᲔᲡ ᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲘ ᲙᲐᲪᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲘᲓᲮᲮᲐᲚᲘ ᲘᲓᲒᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ. ᲠᲣᲜᲓᲔᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲑᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲐᲓ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲡ ᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ.

ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲐᲒᲠᲘᲤᲠᲘᲚᲘ ᲠᲘᲜᲓᲔᲚᲝᲔᲗ ᲛᲔᲤᲔᲠᲛᲔᲠᲘ, ᲩᲛᲣᲮᲘ ᲒᲣᲚᲩᲐᲮᲗᲠᲝᲑᲘᲚ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჩვენს მკითხველებს: მოკლედ ყველაფერზე



საბჭოთა საქართველოში

სიახლეთა დაბადება

△ **ქუთაისი.** (საკ. კორ.). სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის აკაურმა მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩების კუთხეში გაიხსნა ახლადაგებული სამსართულიანი უნივერმაღი.

△ **რუსთავი.** (საკ. კორ.). კულტმომსახურების მრავალ ობიექტს კიდევ ერთი კერა შეემატა. მტკვრის მარჯვენა ნაპირის დასახლებაში მუშაობას შეუდგა მაცივრების, სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტების და სხვა საოჯახო ნივთების შემკეთებელი ახალი სახელოსნო.

△ **გორი.** საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სოფელ მეჯვარისხევში გახსნა ახალი საგავშვო ბაღი. ამ კოლმეურნეთა ბავშვების მოვლის სათანადო პირობებია შექმნილი.

ნ. ჩუბინიძე.

△ **წყალტუბოს** რაიონის სოფელ საწირის კოლმეურნეობაში საკუთარი ძალებით სამ კილომეტრზე გაკეთდა ახალი კეთილმოწყობილი გზები. კოლმეურნეობის ცენტრში მოეწყო სკვერი. გაყვანილია წყალსადენი.

△ **ტყიბულში** გაიხსნა მიწისქვეშა მომუშავეთა პროფესიული დაბადების — სილიკოზის საწინააღმდეგო სარაიონთაშორისო დისპანსერი. იგი მოემსახურება ტყიბულის, ტყვარჩელის, ჭიათურისა და ახალციხის მაღაროელებს. (საქდესი).

ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ჭიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში საღ დღეს ვიმდინარეობდა მუშათა კლუბების, ბიბლიოთეკებისა და წითელი კუთხეების მუშაობის დათვალიერება-კონკურსი, რომელიც მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო.

დათვალიერება-კონკურსის ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კლუბს, რომელსაც მიეკუთვნა პირველი ადგილი. ფულადი ჯილდო მიიღო 14 კოლექტივმა და 6 ინდივიდუალურმა შემსრულებელმა.

ᲛᲔᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲚᲐᲨᲐᲠᲐ"

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი საახალწლოდ კარგ საჩუქარს უმზადებს ჩვენს მშრომელებს.

მშრომელთა სამსახურში ჩადგება კიდევ ერთი ჯამმართველობის კერა — გუდაუთის დასასვენებელი სახლი „ალაშარა".

ამჟამად ამ ობიექტის მშენებლობაზე 70-ზე მეტი კაცი მუშაობს. მშენებლობა უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მასალით.

რ. როსნაძე,

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘ

ძ. ოჩამჩირეში ბევრია ისეთი ოჯახი, რომლის წევრთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს. მაგალითად, ოჩამჩირელ მ. ეზუგბაიას ოჯახში ყველა მკურნალია — ცოლ-ქმარი, ვაჟიშვილი და რძალი.

კლიმენტი ყვანია ინჟინრად მუშაობს სარემონტო ჯანტორაში, უფროსი ვაჟიშვილი შოთა სარაიონთაშორისო სამელიორაციო სადგურის მთავარი ინჟინერია, ცოლი თამარი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ქალაქის № 1 საშუალო სკოლაში, უმცროსი ვაჟიშვილი ომარი კი ხარკოვის სამშენებლო ინსტიტუტის ბოლო კურსის სტუდენტია და მალე მიიღებს ინჟინრის დიპლომს.

მ. ჭოჭუა.

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გუშინდელი მეათე ტური ერთდროულად შეჯიბრების პირველი ნახევრის დასასრული და მეორის დასაწყისი იყო. ამასთან ბრძოლის ეს მნიშვნელოვანი ეტაპი თბილისელი მოჭადრაკეების სრული ტრიუმფით აღინიშნა. მათ ამ ასპარეზობაში პირველად სამი შესაძლებლიდან სამი ქულა მოიპოვეს.

ნ. გაფრინდაშვილი თეთრებით უტევდა უ. კურეს. ესტონელი ხსნას გაცვლაში ეძებდა, მაგრამ ამაოდ. მსოფლიოს ჩემპიონმა მოიგო პაიკი, შემდეგ კი ლაზიერის მარტივი, მაგრამ ლამაზი შეწირვით მეტოქე აიძულა შეეწყვიტა წინააღმდეგობა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველ ხუთ ტურში ნ. გაფრინდაშვილმა მხოლოდ სამი ქულა მოაგროვა, მომდევნო ხუთ ტურში კი მოიგო ყველა შეხვედრა!

თუ მსოფლიოს ჩემპიონმა გუშინ შედარებით იოლად მოიპოვა ქულა, ნ. ალექსანდრიასა და ა. ჩაიკოვსკაიას შეხვედრებმა გულშემატკივრებს დიდი მღელვარება განაცდევინა. განსაკუთრებით ძნელი ამოცანის წინაშე იდგა ა. ჩაიკოვსკაია, რომელიც ლიდერს ე. რუბცოვას ხვდებოდა.

ამ პარტიაში ვითარება კინემატოგრაფიული სისწრაფით იცვლებოდა. ჩაიკოვსკაიამ შავებით სიცილიური დაცვის ე. წ. შევენინგენის ვარიანტს მიმართა, რომელიც მას კარგად აქვს შესწავლილი. მით უმეტეს მოულოდნელი იყო ის სერიოზული შეცდომა, რომელიც თბილისელმა დებიუტიდან გამოსვლისთანავე დაუშვა. მოსკოვის ჩემპიონმა, რომელიც ჩინებული ინტუიციითაა დაჯილდოებული, დაუყოვნებლივ მიიღო მოსაგები პოზიცია. მაგრამ თუ ადრინდელ შეხვედრებში ე. რუბცოვა რამდენჯერმე სასწაულებრივად გადარჩა, გუშინ მან ამნაირადვე გადაარჩინა მეტოქე. ე. რუბცოვამ რამდენჯერმე ხელიდან გაუშვა მოგება, შემდეგ კი თვით აღმოჩნდა განსაცდელში. ჩაიკოვსკაიამ მოიგო ფიგურა და მალე პარტიაც. ეს მოსკოვის ჩემპიონის პირველი დამარცხებაა.

ნ. ალექსანდრია-ნ. კონოპლიოვას შეხვედრაში თბილისელ მოჭადრაკეს საშუალება ჰქონდა დებიუტშივე მიეღწია გადამწყვეტი უპირატესობისათვის, მაგრამ მოგვიანებით შენიშნა ეს კომბინაცია. ასეთი იოლი გამარჯვების ხელიდან გაშვება ბევრ გამოცდილ ოსტატსაც გაუტეხდა გულს, მაგრამ ნორჩმა ჩემპიონმა თავშეკავების საოცარი უნარი და სიმშვიდე გამოამჟღავნა. ნ. ალექსანდრიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პარტიის მომდევნო ნაწილი მან სამაგალითოდ ჩაატარა. ნ. კონოპლიოვას პოზიცია სულ უფრო უარესდებოდა. მძაფრ ცაიტნოტში ნ. კონოპლიოვა შეცდა და შეწყვიტა წინააღმდეგობა.

მ. რანიკუმ ლამაზად მოუგო რ. ვაპნინჩნაიას, ა. ერგლემ — ო. რუბცოვას, კ. ზვორიკინამ — ე. ბიშარდს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბ. მოსიონჟიკი-ზ. ნახიმოვსკაია და ვ. ბორისენკო-ო. კაცკოვა. რ. კაზმინას ეტლების ენდშპილში ერთგვარი უპირატესობა აქვს ლ. ვოლპერტთან.

ამრიგად, ათი ტურის შემდეგ შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდა ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 8 ქულა აქვს. ე. რუბცოვამ 7,5 ქულა მოაგროვა, ხოლო მ. რანიკუმ და ნ. კონოკლიოვამ — 7-7 ქულა. ლ. ვოლპერტს 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ნ. ალექსანდრიას — 6 ქულა და ორი გადადებული პარტია.

დღეს რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართება გადადებული პარტიების დამთავრება.

ბ. ბამრეკელი.

ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲒᲠᲔᲛᲨᲘ

ᲣᲧᲐᲠᲔᲚᲘ. (საკ. კორ.). მდინარე ინწობის მარჯვენა მხარეს სასახლეების, ქარვასლების, აბანოების, ციხეგალავნების ნახგრეგები ძველი ქალაქის გრემის სიდიადეზე მეტყველებს. მაგრამ აქ ბევრი რამ ჯერ კიდევ შესასწავლი და დასადგენია. ამ მიზნით გრემის ნაქალაქევის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, არქეოლოგიური გათხრები. ექსპედიციას პროფესორი პ. ზაქარაია ხელმძღვანელობს.

გათხრები დაიწყო ყოფილი ბაზრის ტერიტორიიდან. აღმოჩნდა ქარვასლის ნანგრევები და გვიანბები, აგრეთვე პურჭლის ნამსხვრევები, სამკაულები, მონეტები და სხვა ნივთები.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ

მოსკოვში გრძელდება პროფკავშირთა საბადრაკო ჩემპიონატი. მესამე ტურში ყურადღების ცენტრში იდგა მსოფლიოს ჩემპიონის პეტროსიანისა და გროსმაისტერ ტაიმანოვის პარტია. მძაფრი ბრძოლის შემდეგ ეს შეხვედრა არ დამთავრებულა. გადადებულ პარტიაში პეტროსიანს გარკვეული უპირატესობა აქვს.

ნეიმ სიცილიურ დაცვაში დაამარცხა პლატონოვი, გიპსლისმა მოუგო გროსმაისტერ პოლუღაევსკის. ბოლესლავსკი-ლიბერზონისა და მნაცაკანიან-კლოვანის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დღეს მოეწყობა გადადებული და გამოტოვებული პარტიების გათამაშება.

ᲛᲘᲜᲘᲚᲙᲔᲚᲗᲐ ᲭᲣᲠᲜᲔ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

მინსკის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივმა დაამთავრა ტურნე აფრიკაში. უკანასკნელი მატჩი საბჭოთა გუნდს ჰქონდა გვინეაში ამ ქვეყნის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲒᲐᲥᲝᲨᲘ

გაქოში გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ცნობილი გროსმაისტერები, საერთაშორისო ოსტატები და ოსტატები.

უკვე გათამაშდა ხუთი ტური. წინ არის აზერბაიჯანის წარმომადგენელი ვ. ბაგიროვი, რომელსაც 4 ქულა აქვს.

„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ" ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

თბილისში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სასპორტო საზოგადოება „განთიადის" პირად-გუნდური პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში.

წონითი კატეგორიის მიხედვით ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპოვეს: მ. ბეხტურიშვილმა, ზ. შეყრილაძემ, პ. ჯიოშვილმა, ზ. ბეჭაშვილმა, ა. პაპუაშვილმა, დ. კიკნაძემ, ე. გოცირიძემ და რ. ბიაზრუმა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რუსთავის მოჭიდავეთა კოლექტივმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲛᲒᲖᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგებათა 102-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1964 წლის 30 ნოემბერს ქალაქ ყარაგანდაში.

მოგება ხვდა სესხის ჩვიდმეტიანი თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
001841	1—50	40	033485	1—50	40	063284	43*)	500
002280	21*)	500	034066	46*)	1.000	063308	1—50	40
003890	08*)	500	034085	1—50	100	064810	36*)	2.500
003945	12*)	500	034880	40*)	1.000	065696	1—50	100
004252	32*)	1.000	034964	21*)	500	066402	03*)	500
004365	1—50	40	035440	1—50	40	066589	38*)	500
005326	1—50	100	035643	01*)	1.000	066766	1—50	40
005534	32*)	500	037729	27*)	1.000	066769	26*)	1.000
005864	22*)	1.000	037823	50*)	500	066871	1—50	40
005956	1—50	40	038334	48*)	500	067363	1—50	100
006367	01*)	1.000	039051	12*)	1.000	067650	22*)	1.000
006945	12*)	500	039720	37*)	500	067860	44*)	500
007520	1—50	40	040153	10*)	500	067963	1—50	40
007656	1—50	40	040154	15*)	500	067970	10*)	500
007780	1—50	40	040931	11*)	500	068773	46*)	500
008247	08*)	500	041690	19*)	1.000	069907	08*)	1.000
008430	02*)	500	041888	23*)	2.500	070941	1—50	100
009173	32*)	500	041918	14*)	5.000	071540	1—50	100
010138	39*)	500	043200	21*)	500	073466	1—50	40
010177	1—50	40	043357	25*)	500	073966	1—50	100
010658	42*)	500	043678	03*)	500	074727	06*)	500
010680	24*)	500	044263	1—50	40	074806	49*)	500
011138	1—50	40	044583	48*)	500	075688	31*)	500
012125	1—50	40	045189	31*)	500	075738	38*)	2.500
012376	1—50	40	045946	24*)	500	076476	44*)	500
012839	1—50	100	046148	05*)	1.000	079259	1—50	40
014120	10*)	500	046302	23*)	500	079397	21*)	500
014250	32*)	1.000	046895	47*)	1.000	079586	1—50	40
014278	42*)	500	048114	1—50	40	080111	29*)	1.000
015038	14*)	1.000	048250	32*)	500	080430	1—50	40
015248	18*)	500	048425	14*)	1.000	080745	47*)	500
015655	08*)	500	049888	06*)	500	080805	15*)	500
016174	03*)	5.000	050103	1—50	40	082297	14*)	500
017411	1—50	40	050493	04*)	500	083004	1—50	40
017467	24*)	500	051064	23*)	500	084207	07*)	500
018331	04*)	500	052647	07*)	500	084218	25*)	2.500
019886	45*)	500	052978	02*)	500	085747	15*)	2.500
020554	41*)	500	053910	1—50	40	087409	1—50	40
022226	46*)	500	054475	1—50	40	087576	14*)	1.000
023488	1—50	40	055028	1—50	100	087709	44*)	500
025145	37*)	500	055872	45*)	500	088131	1—50	40
025734	1—50	100	056864	1—50	40	088581	07*)	500
026772	1—50	40	057617	14*)	1.000	089346	1—50	40
026785	17*)	500	057628	1—50	40	090215	1—50	100
027345	35*)	500	059407	31*)	500	090650	06*)	500
027820	15*)	500	059709	42*)	500	091069	1—50	40
028091	19*)	500	060535	40*)	500	091259	1—50	100
028973	1—50	40	060664	1—50	40	091278	36*)	1.000
029219	46*)	500	060776	1—50	40	091560	50*)	500
029275	03*)	500	060894	02*)	500	091682	36*)	1.000
029349	38*)	500	060934	34*)	500	093538	22*)	500
030674	1—50	100	061124	1—50	40	094157	35*)	500
031143	02*)	500	061854	29*)	500	094898	1—50	100
031457	1—50	40	061979	45*)	1.000	094972	1—50	40
032267	20*)	1.000	062428	31*)	500	095217	43*)	1.000
032740	15*)	500	063208	26*)	500	095622	1—50	40
033072	1—50	40				096488	1—50	40

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით-გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ყარაგანდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

კ. დ. კონაკბაევი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲜ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

საზოგადოებრივი აზრის საკვლევმა ფონდმა ინსტიტუტმა მიმართა ქმრებს კითხვით: „ვინ მბრძანებლობს თქვენს ოჯახში?" სულ გამოკითხულ იქნა 500 მამაკაცი. 305 ქმარმა უპასუხა: „ჩემი ცოლი", ხოლო 194 — „ჩემი სიდედრი". მხოლოდ ერთმა დაკითხულთაგანმა მტკიცედ განაცხადა: „მე!" შემოწმების დროს გამოირკვა, რომ ეს მამაკაცი უკვე ოთხი წლის წინათ დაქვრივებულიყო.

ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲯᲐᲠᲘᲜᲐ...

ამერიკის ქალაქ ჯოლიეტში არსებობს წესი: ქალმა, რომელიც ყიდვის დროს მზა ტანსაცმლის მაღაზიაში მეიზოგმებს ეძვს კაბაზე მეტს, ფულადი ჯარიმა უნდა გადიხადოს.

ᲓᲐᲡᲯᲘᲚᲘ ᲛᲐᲛᲐ

ბრიტანეთის არტილერიის ფელდფებელი არტურ ჯიპსონი ორი თვით ჩასვეს გუპტვახტში იმისათვის, რომ „ძლიერ ხმამაღლა გამოსატა" თავისი მამრობრივი სიხარული.

ეს ამბავი ასე მოხდა: როდესაც არტურს აცნობეს, შენს მეუღლეს ვაჟი შეეძინა, გახარებული მამა გაიქცა თავის ბატარიაზე და სასიხარულო ამბავი ქვემეხის ათჯერ გასროლით იდღესასწაულა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

5 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — მძინარე მზეთუნახავი (დღისით), ტოსკა (საღამოს, მე-10 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დრამა** — ბრალდება (დღის 11 ს. და 30 წ. მე-3 და გაცდენილი აბონ.), ჭინჭრაქა (დღის 1 ს. და 30 წ. მე-5 აბონ. და საღამოს 7 ს. და 30 წ. მე-10 და გაცდენილი აბონიმენტები, **რუსთაველის სახელობის მცირე დრამა** — ბრალდება (საღამოს აბონ. გარეშე), **მარჯანიშვილის სახელობის** — თამაში ჭვავის ყანაში (დღისით, 23-ე აბონ. მე-10 წარმოდგენა), მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს აბონ. გარეშე), **გრიბოედოვის სახელობის** — ჩემი უფროსი და (დღისით და საღამოს მე-12 აბონ. მე-3 წარმოდგენა).

6 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლუჩია დი ლამერმური (დღისით), გორდა (საღამოს მე-11 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დრამა** — სიძეცრა შეევდენზე (დღისით მე-6 და საღამოს მე-19 და გაცდენილი აბონ.), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე ვხედავ მზეს (დღისით და საღამოს აბონ. გარეშე), **გრიბოედოვის სახელობის** — საჭიროა მატყუარა (დღისით და საღამოს აბონ. გარეშე).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

5 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენას ეკრანი", 18.15 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — გადაცემა — „რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატობის კანდიდატები" — ლადო გუდიაშვილი, 19.35 — კონცერტი — „მეგობრების სიმღერები", 20.15 — მხატვრული ფილმი „ყველაფერი ხალხს რჩება", 21.55 — ახალი ამბები, 22.10 — „ცეროფერი ეკრანის სტუმრები".

6 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

12.00 — მოსწავლეთათვის „წერილების კვალდაკვალ", 12.40 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ფეკრები კაბაკ გოლოტას შესახებ", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.20 — გადაცემა „ცისფერ მოედნებზე", 19.35 — საკვირაო საესტრადო კონცერტი, 20.15 — გადაცემა „ალეკო შენგელია", 20.30 — კონცერტის ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კონცერტო დარბაზიდან, 21.30 — მხატვრული ფილმი „პერრის ქუჩა".

7 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოთხრობები პატარებისათვის, 18.20 — მოსწავლეთათვის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მალაქიტის სკივრი", 19.20 — განცხადებები, 19.25 — კინონარკვევი, 20.00 — დიდი საცირკო სანახაობა, 22.30 — ახალი ამბები.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 8 დეკემბერს.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

23 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ...

„ს ა მ ა მ უ ლ ო ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, პატარა ბიჭუნა თელავის საბავშვო სახლში რომ მიიყვანეს. აღმზრდელები მხარში ამომიდგნენ. უდედმამობა არ მაგრძნობინეს. ათ წელზე მეტი გავატარე ამ „სახლში, აქვე ვსწავლობდი, შემდეგ ტყიბულის საფაბრიკო-სამკერვალო სკოლა დავამთავრე. ახლაც ტყიბულში ვარ, ორჯონიკიძის სახელობის შახტაში ვმუშაობ.

შახტაში მაფასებენ, პატივს მცემენ, ბედნიერი ვარ, მაგრამ ჩემს სიხარულს ერთი ბზარიც აქვს — იქნებ მეცა მყავს ყველაზე მახლობელი ადამიანები — მშობლები, დაძმები, სხვა ნათესავები...

დავიძახ მათ, მაგრამ შედეგი არა ჩანს".

ამ სტრიქონების ავტორმა გიორგი ენდელაძემ (ამჟამად ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშამ) მიმდინარე წლის 19 სექტემბერს წერილით მიმართა წყალტუბოს სარაიონთაშორისო გაზეთ „დროშის" რედაქციას და მკითხველებს სთხოვა დახმარება ოჯახის წევრთა მოძებნაში.

თვითონ გიორგი, როგორც იგი წერს, ორჯერ ეწვია თელავს. საბავშვო სახლის დოკუმენტებისა და საარქივო მასალების მიხედვით საბოლოოდ დადგინა, რომ იგი თელავის საბავშვო სახლში ჩაწერილია როგორც ჟორა (გიორგი) ვლადიმერის-ძე ენდელაძე და რომ მამამისი არის მაიაკოვსკის რაიონიდან.

ამის შემდეგ გიორგი ენდელაძემ იმოგზაურა მაიაკოვსკის რაიონში, სადაც ენდელაძეები რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ.

აქ, მაიაკოვსკში, კეთილი ადამიანების — სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტორის სერგო ენდელაძისა და ამავე ინსპექციის თანამშრომლის სამა ზიკორიძის დახმარებით მან გიიგო, რომ გიორგი ენდელაძის მამა ვლადიმერ (ლადიკო) თომას-ძე ენდელაძე, დაბადებიდანვე ცხოვრობდა მაიაკოვსკის რაიონის მაღალმთიან სოფელ შუბანში და აქვე დაცოლშვილდა. შემდეგ წლებში იგი საცხოვრებლად გადასულა ბოლნისში.

და აი სწორედ აქ, ბოლნისში, მოუსწრო ვლადიმერ ენდელაძეს დიდმა სამამულო ომმა. ოცდასამი წლის წინათ ვლადიმერი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. შინ დარჩნენ მისი მეუღლე და ოთხი ვაჟი, რომელთაგან ყველაზე უმცროსი — გიორგი ერთი წლისაც არ იყო.

1942 წლის ზამთარში ვლადიმერ ენდელაძე, რომელიც მაშინ ჭ. კისლოვოდსკში იყო, საველე ფოსტამ სამწუხარო ამბავი მოუტანა — უფროსი ვაჟი ატყობინებდა მამას, დედა გარდაიცვალა, ობლად დავრჩენილ, უთხრეს მეზობლებმა ვლადიმერს. სამწუხაროდ, აღარაფის ახსოვდა, თუ სახელდობრ სად, რომელ საბავშვო სახლში წაიყვანეს პატარა.

ვლადიმერ ენდელაძემ დაიწყო შვილის ძებნა, მაგრამ უმცროსი ბიჭის კვალს ვერ მიაგნო.

ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მამას შვილის ბოვნის იმედი თითქოს გადაუწყდა. ბოლოს მიატოვა ბოლნისი და მახარაძის რაიონის სოფელ კოჯეკაკაში დაიდო ბინა.

მამას ეძებდა აგრეთვე ახლა უკვე დაოჯახებული გიორგი. პირველ რიგში მან მიაკვლია მისი ბიძის, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ შუბანში მცხოვრებ გიორგი თომას-ძე ენდელაძის ოჯახს.

ამას წინათ გიორგი ენდელაძე ტყიბულიდან შუბანში მიიწვიეს ბიძამისი ცოცხალი აღარ იყო. სახლში დაუხვდნენ 84 წლის ბებია, ბიცოლა და ბიძაშვილები. აქ მას აცნობეს, რომ გიორგის ორივე ძმა ახლა ცოლშვილიანია. ანდრო ქუთაისში ცხოვრობს და მუშაობს, ხოლო მიხეილი — გონიოს საბჭოთა მეურნეობაში. გიორგიმ გიიგო, რომ მამამისი კონჭკათში ცხოვრობს.

მოხდა ისე, რომ ტყიბულიდან შუბანში ჩამოსულ გიორგი ენდელაძეს ბებია ორიოდე დღის შემდეგ გარდაეცვალა. დაკრძალვაზე დედის დასასტირებლად კონჭკათიდან ვლადიმერ ენდელაძეც ჩამოვიდა. და აი აქ შეხვდა მამა-შვილი ერთმანეთს.

ძნელია ენით აღწერო და გამოთქვა მღელვარებისა და განცდის შეხვედრის ის წუთები, როცა ოცდასამი წლის გაუთავებელი ძებნის შემდეგ მამა-შვილმა ერთმანეთი იპოვნეს.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიკოოპკავშირის საწარმოო-საყოფაცხოვრებო კომბინატი თანმიმდევრულად ზრუნავს სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის.

ამას წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა სამკერვალო საამქრო. იგი წლის ბოლომდე ორი ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

წელს ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნო გაიხსნა ახალ ხიბულაში, ქვემო ქვალონში, ჭაქვინჯში და სხვ. კახეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ ააგო საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ორსართულიანი შენობა, სადაც მოთავსდა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, რადიოშემკეთებელი სახელოსნები.

მილიონობით ადამიანი სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციით მინიჭებული დასვენების უფლებით. მათ განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. **სურათზე:** სანატორიუმი „მეშახტე" კურორტ წყალტუბოში. ფოტო ბ. მაღლაფერიძისა.

ᲞᲘᲝᲜᲔᲗᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

ამასწინათ ჩეხოსლოვაკიის კურორტ პიეშტანში გაიმართა რევმატოლოგთა II კონგრესი. გარდა ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერებისა, კონგრესში მონაწილეობა მიიღეს უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

საბჭოთა კავშირს გაგზავნილი ჰყავდა თექვსმეტი დელეგატი აკადემიკოს ა. ნესტეროვის მეთაურობით. მათ შორის იყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი გ. წითლანაძე.

ჩეხოსლოვაკიის კონგრესზე, აცნობა მან საქდესის კორესპონდენტს, განიხილეს ეგრეთწოდებული ბეხტერევის სნეულების (ხერხემლის გაშეშების), რევმატიზმული ციებ-ცხელების დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის, აგრეთვე ბალნეოთერაპიის კორტიზონით მკურნალობის საკითხები და სხვ.

უნდა ითქვას, რომ კონგრესზე დადებითად შეხვდნენ ყველა საბჭოთა მეცნიერის მოხსენებებს, რომლებმაც კონკრეტული ფაქტებით ცხადყვეს, რომ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მეოხებით საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვნად შემცირდა რევმატიზმით დაავადებულთა რიცხვი. (საქდ